„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“ ლადო ასათიანი



# ასპინძის საინფორმო

ასპინძის მუნიციპალიტეტი * მაისი. 2022 * (2)79

## ასპინძის ბრძოლის 252-ე წლისთავს მიეძღვნა



20 აპრილს, ასპინძის ბრძოლის დღესთან დაკავშირებით, ასპინძის ომის ამსახველი მონუმენტური ძეგლი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა **როსტომ მაგრაქველიძემ**, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ბერიძემ**, სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს. მღვდელმსახურმა **მამა აკაკიმ** 1770 წლის 20 აპრილს ასპინძის ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

პანაშვიდის დასრულების შემდეგ ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „წუნდამ“ საგალობელი შეასრულა.

შემდეგ ასპინძის ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი თემატური ღონისძიება კულტურის ცენტრში გაიმართა. ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ მუნიციპალიტეტის მერი **როსტომ მაგრაქველიძე** და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ბერიძე**.

ასპინძის ომზე და აღნიშნული ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ**, ამავე უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ**, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ**.

ღონისძიებაზე მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრი“, ფოლკლორული ანსამბლი „წუნდა“, ვალერიან მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (გუბერნატორის) მოადგილეები, პასუხისმგებელი მუშაკები, რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები, მოწვეული სტუმრები.

ღონისძიებას ორგანიზება გაუწია მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა.



## მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში გაიმართა







სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი,** რწმუნებულის მოადგილე **შალვა ბერძენიშვილი,** რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებთან და საკრებულოს თავმჯდომარეებთან ერთად, ახლახან საჯარო რეესტრის თავმჯდომარეს **ოლეგ (ბაჩო) თორთლაძეს** შეხვდა.

საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022-2024 წლებში საქართველოს 59 მუნიციპალიტეტის (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა) კერძო, სახელმწიფო მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს ეტაპობრივად აზომავს და დაარეგისტრირებს.

მიწის სისტემური რეგისტრაცია ქვეყნის 1000-ზე მეტ ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს. რეფორმის შედეგად, ქვეყნის დაახლოებით 1/3 დარეგისტრირდება, ასევე უძრავი ქონების შესახებ სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემები შეიქმნება და უძრავი ქონების ბაზარი განვითარდება.

შეხვედრაზე სააგენტოს წარმომადგენელმა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველ პირებს მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის შესახებ დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს. საუბარი სოფლებისა და დაბების დამისამართების საკითხებსაც შეეხო. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

მიწის სისტემური რეგისტრაცია 2024 კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში საკადასტრო აგეგმვითი, აზომვითი სამუშაოების დაწყების განრიგის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/31g12nv.

## ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

გაიმართა ასპიხძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს;

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

6. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

7. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

8. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

9. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

10. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

11. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

12. „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ივლისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ერთხმად დაამტკიცეს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჯვარიძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია:

– სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების განხილვის შესახებ;



ასევე საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ანა ტივაძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია:

– ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სააღრიცხვო პოლიტიკის პროექტის დამტკიცების შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე.

მაკა ბერიძე

# დედამიწის დღეს მიეძღვნა



დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ასპინძის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია მოეწყო.

აღნიშნულ აქციაში ჩართულები იყვნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლები, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, დეპუტატები და სოფლის სკოლები.

აქციის მსვლელობისას მობილიზებული იყო შპს ,,კეთილმოწყობის“ სამსახურის სპეც.ტექნიკა, რომელიც დროულად ახდენდა შეგროვილი ნარჩენების გატანას.

აქციის მონაწილეებმა დაასუფთავეს ასპინძის მუნიციპალიტეტის ცენტრალური მაგისტრალი. ასევე წუნდის ტბისა და ვარძიამდე მისასვლელი გზა.

ყოველი წლის 22 აპრილს, მსოფლიოს 175 ქვეყანაში დედამიწის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ.

საქართველო ამ ქვეყნების სიას 1990 წლიდან შეუერთდა.

ყოველწლიურად, ღონისძიებას უერთდება მრავალი ორგანიზაცია და მოხალისე, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ტიპის გარემოსდაცვით საქმიანობას ახორციელებენ.

# ქართული ენა — წმინდა ტაძარი, ქართველთათვის სალოცავი



ქართული ენა — ესაა მსოფლიო საოცრება, დიდი საგანძური, საქართველოს ხერხემალი, ფარი. ქართული ენა — ესაა წმინდა ტაძარი ქართველთათვის სალოცავი, რომელსაც საუკუნეებს გაუძლო და დღემდე მოაღწია.

14 აპრილს დედაენის დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება „დედაენის დღე“. ღონისძიება ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის ინიციატივით და ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის ნელი გოგოლაძის ორგანიზებით ჩატარდა. „დედაენის დღესთან“ დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლეები ბექა თაქთაქიძე, ნიკა ნარიმანიძე,, ელენე მელიქიძე, ბარბარე მაისურაძე, თამარ ცინაძე, ანასტასია კალანდაძე, დავით რიჟამაძე, ვასიკო ნარიმანიძე, ბარბარე მელიქიძე, ნიკა მამულაშვილი; ასევე მონაწილეობდნენ პატარები — ნუციკო მაგრაქველიძე, ცოტნე და ელენე ბერიძეები.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ნუკრი ღორჯომელაძემ და სოფელ ივერიის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა თამარ და ტასო ღორჯომელაძეებმა, ლიკა იაკობიძემ.



ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ დამსწრე საზოგადოებას მიულოცა „დედაენის დღე“ და ისაუბრა ქართული ენის მნიშვნელობაზე.

მანანა კიკნაძე

# „ორი ნაბიჯი“ ასპინძაში

მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები დღითიდღე თვალშისაცემი ხდება. გაზეთის მკითხველები სისტემატურად ღებულობენ შესაბამის ინფორმაციებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებისა თუ გატარებული ბევრი საინტერსო პროექტის შესრულების თაობაზე, რაც მოსახლეობის კმაყოფილებასაც იწვევს.



იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას, რომელიც მდიდარია როგორც რესპუბლიკური, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის ისტორიული ძეგლებით, თანამედროვე სტანდარტების დონეზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მიუხედავად იმისა, რომ „კორონა-ვირუსის“ პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მთლიანად ტურიზმის სფეროს, მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპი მაინც არ შენელებულა და სახელმწიფო ობიექტების გარდა კერძო სექტორშიც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა და სამომავლოდ კეთილსაიმედო პროგნოზიც იკვეთება.

ალბათ, მკითხველო, ბევრ თქვენთაგანს ეხსომება, დაბის ცენტრში, ე.წ. „თეთრი სახლის“ მიმდებარედ, N1 ბაგა-ბაღის სიახლოვეს, მოედანთან, არსებული ძველი ფარდულის ტიპის ობიექტი, რომელიც სტუმრის თვალში ცუდად აღიქმებოდა და ამახინჯებდა მთლიანი ტერიტორიის იერსახეს. იგი კერძო პირის საკუთრებაში იმყოფებოდა და წლების მანძილზე არ ხერხდებოდა მისი არც რეკონსტრუქცია, არც ახლის მშენებლობა.

და აი, მისმა მეპატრონეებმა ანა, ზაქარია და თემურ ტივაძეებმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეს — როგორც იტყვია, ნემსის ყუნწში გაძვრნენ, დიდი ვალიც დაიდეს და შესანიშნავი, ევროსტანდარტის დონის სავაჭრო ობიექტი ააშენეს, რაც ასპინძელებისათვის კიდევ ერთი დიდი შენაძენია.

როგორც იტყვიან, „რომი ერთ დღეში არ აშენებულაო“ და ისიც ნელ-ნელა სრულყოფილად დაიტვირთება. ამ ეტაპზე კი საქართველოში ცნობილმა ბრენდმა „ორმა ნაბიჯმა“ სწორედ აქ დაიდო ბინა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას, ექსკურსანტებსა თუ ტურისტულ ჯგუფებსაც, მაღალ დონეზე გაუწევენ მომსახურებას მათთვის საჭირო მაღალხარისხიანი პროდუქციის შეძენის მიზნით. ასევე მეპატრონეებს განსაზღვრული აქვთ აღნიშნული ობიექტის მეორე სართულზე განათავსონ კაფე-ბარი, ყოველივე ეს კი იმითაცაა მნიშვნელოვანი რომ ამ ობიექტზე რამდენიმე ასპინძელი იქნება დასაქმებული.

ავთანდილო მესხი

# პროექტის ფარგლებში — „ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის“ — საინფორმაციო შეხვედრა ასპინძაში

მიმდინარე წლის 19 აპრილს ასპინძის მუსიკალური სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა დაბის მცხოვრებლებთან. ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) დაფინანსებით მიმდინარე პროექტი „ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის“ (RDYE), ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს ტრენინგებს ფინანსური და სხვა აქტივობების შესახებ. მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაესვათ შეკითხვები და მიეღოთ მეტი ინფორმაცია პროექტის ბენეფიტებისა და მონაწილეობის პირობების შესახებ.

როგორც აღინიშნა RDYE პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 18-35 წლის ასაკის ახალგაზრდებს.

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის არის 3.5-წლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს „მერსი ქორფსის“ წარმომადგენლობა საქართველოში (Mercy Corps Georgia) ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) დაფინანსებით.

პროექტის მხარდამჭერები არიან „ლიბერთი ბანკი“ და სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი.

პროექტი ხელს უწყობს 1500-ზე მეტ ახალგაზრდას (50% ქალი), ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობების წარმომადგენლებს, მაღალმთიანი სოფლების მკვიდრებს, ეკომიგრანტებს, იძულებით გადაადგილებულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რათა განივითარონ სამეწარმეო უნარები და შესაძლებლობები, შექმნან 50-ზე მეტი მდგრადი, ახალი ან/და გააფართოვონ უკვე არსებული, ახალგაზრდების მიერ მართული სოფლის მეურნეობისა და არასასოფლოსამეურნეო საწარმო/ბიზნესი.

საინფორმაციო შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აღნიშნული პროექტი ხორციელდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ ამ ქვეყნების მდგრად განვითარებას.

ევროპისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფედერალური სამინისტრო თავად ადგენს სტრატეგიას. ავსტრიის განვითარების სააგენტო, როგორც ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის საოპერაციო უწყება, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ერთად თავად ახორციელებს პროგრამებსა და პროექტებს საჯარო ინსტიტუციებთან.

„მერსი ქორფსი“ არის საერთაშორისო, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ადამიანებს შექმნან უსაფრთხო, პროდუქტიული და სამართლიანი გარემო, რათა შეამსუბუქოს ტანჯვა, სიღარიბე და ჩაგვრა. „მერსი ქორფსი“ საქართველოში 2000 წლიდან მოღვაწეობს და ქმნის პროდუქტიულ, სტაბილურ, უსაფრთხო და სამართლიან თემებს სიღარიბითა და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში.



„ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში, „მერსი ქორფსი “ მუშაობს სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდა მეწარმეებთან და პოლიტიკის შემქმნელებთან, რათა სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ხელი შეუწყოს მეწარმეობისა და ეკონომიკის განვითარებას.

„სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშემწყობი ცენტრი" წარმოადგენს აღნიშნული პროექტის პარტნიორ ორგანიზაციას ასპინძის მუნიციპალიტეტში.

შეხვედრაზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა „მერსი ქორფსის“ პროექტის დირექტორმა უჩა ვარამაშვილმა და მანვე ამომწურავი პასუხები გასცა დასმულ კითხვებზე.

იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის სინამდვილეში აღნიშნულმა ასაკობრივმა ჯგუფებმა თუ ინდივიდებმა მიიღონ მონაწილეობა ამ პროექტში, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ მობილური ტელეფონის მითითებულ ნომერზე: 551286555.

ნინო რუხაძე,
*სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშემწყობი ცენტრის დირექტორი*

# ასპინძის ომის 252-ე წლისთავისათვის

საქართველოს ისტორიამ ბევრი დიდი მამულიშვილის სახელი შემოგვინახა, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ქართველი ერის ისტორიაში. თუმცა, როგორც დიდი ილია ბრძანებს: „საქართველოს ისტორია მეფეთა ისტორიააო!“ რამეთუ ისინი წყვეტდნენ ქვეყნის ბედს და მათ გამჭრიახობაზე იყო დამოკიდებული ერის მომავალი. ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ათასი ჯურის მომხვდურთან უხდებოდა ბრძოლა, – ეს იქნებოდა რომაელები, ბიზანტიელები, მონღოლთა ურდოები, სპარსი თუ ოსმალო. დიდმა ომებმა კი ქვეყანასაც დიდი მეფეები შესძინა – დავით აღმაშენებელი თუ თამარ დედოფალი, გიორგი ბრწყინვალე თუ ალექსანდრე დიდი, მაგრამ ერმა გამორჩეულად მაინც ყველაზე მეტი ხოტბა-დიდება თამარსა და მეფე ერეკლეს შეასხა, ეს არცაა გასაკვირი, რადგან ისინი ხალხთან, იმ დაბალი ფენების წარმომადგენლებთან, უფრო ახლოს იყვნენ და მათ მიმართ სიყვარულის გრძნობაც მეტი ჰქონდათ. ამის ნათელი მაგალითია ერეკლეს ახლო ურთიერთობა ხევსურებთან, რაზეც არაერთი ლეგენდა შეიქმნა და დიდმა ვაჟამ გენიალური ლექსიც მიუძღვნა.

ერეკლე მეფე ხშირად თითოეულ ქართველში „პატარა კახის“ სახელით განსახიერდება, რამეთუ ჯერ კიდევ მცირეწლოვანმა უფლისწულმა, თავი მტერთან ბრძოლაში გამოიჩინა და იმის შემდეგ ხმალი ხელიდან არც გაუგდია. იგი ჭეშმარიტად სახალხო მეფე იყო და ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა.

აქ არ ჩამოვთვლით იმ დიდ ბრძოლებს, სადაც იგი მონაწილეობდა, ერეკლე მეფის შეუპოვარი ვაჟკაცობისა და თავდადების მაგალითებს, მაგრამ, ჩვენთვის, ასპინძელებისთვის, ერეკლეს სახელი დღემდე სიამაყეს გვმატებს, რადგან ასპინძა ყოველთვის გაიგივებულია „ასპინძის ომთან“, რომელიც სწორედ დიდი მეფის გამჭრიახი გონებით ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართველი ერის ისტორიაში და იგი სამარადჟამოდ დარჩება შთამომავლობას. საინტერესოა ისიც, რომ დღემდე შემორჩა ასპინძის ბრძოლის ადგილზე ტოპონიმი „ერეკლეს ნახიდარი“, რომელიც, იმედია, ინფრასტრუქტურულად უახლოეს ხანში მოეწყობა და საექსკურსიო მარშრუტშიც ჩაჯდება.

„ვამბობ ასპინძას და კვლავ ომი მომენატრება!“ – ბრძანებს გალაკტიონი და ეს არცაა შემთხვევითი ნათქვამი სიტყვები, რადგან ამ ომში ქართველთა გმირობას ბრწყინვალე გამარჯვება მოყვა. ბევრი ხოტბა-დიდება შეესხა ასპინძის ომში ქართველთა გამარჯვებას, რომელმაც დაგვანახა, – რუსთა უდიდესი ღალატისა და საქართველოს სხვადასხვა მხარეთა მმართველების შურისა და მზაკვრობის მიუხედავად, ქართველთა ერთგულებამ ქვეყნისა და საყვარელი მეფისადმი, მაინც უდიდესი გამარჯვება მოაპოვებინა მეფე ერეკლეს და კიდევ უფრო გაუთქვა სახელი ევროპასა და აზიაში, რის გამოც ჩვენი ქვეყნის მეზობლებიც კი მასში მხსნელსა და განმათავისუფლებელს ხედავდნენ. ამ ომის შეფასების მწვერვალი კი პრუსიის მეფის – ფრიდრიხ II-დიდის სიტყვებია – „დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში ერეკლეო!“ იმ პერიოდის ევროპული პრესა კი აჭრელებული იყო ერეკლესადმი ქება-დიდების შესხმით.



თუ ახლოს გავეცნობით საქართველოს ომებზე არსებულ სამეცნიერო თუ მხატვრულ-პოლიტიკურ ლიტერატურას, დავრწმუნდებით, – იმდენი ისტორიული ნაშრომი, კვლევა, სტატია თუ მონოგრაფია არცერთ სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვან ომზე არ დაწერილა, რამდენიც ასპინძის ომზე. მის შესახებ წერდა იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ორბელიანი, ზაქარია ჭიჭინაძე, გერონტი ქიქოძე, ომან ხერხეულიძე, ბესიკი, რაფიელ ერისთავი, ლადო ასათიანი, გალაკტიონი, დავით დადიანი... თანამედროვე მკვლევარები. ცნობილმა ქართველმა მემატიანეებმა, ასპინძის ომის უშუალო თვითმხილველებმა, დეტალურად აღწერეს და შთამომავლობას შემოუნახეს ამ ომზე საინტერესო ცნობები. ასპინძის ომს მიეძღვნა მრავალი ლექსი თუ პოემა, შეიქმნა ხალხური ზეპირსიტყვიერების უნიკალური ნიმუშები, ფერწერული ტილოები. მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა პერიოდულმა პრესამ შემოგვინახა ადგილობრივ მესხთა გადმოცემები, რომლებიც მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალაა ქართული ისტორიოგრაფიისათვის. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თბილისში, ასპინძის ომისადმი მიძღვნილი ეროვნული არმიის მრავალათასიანი აღლუმიც კი ჩატარდა 1920 წლის მაისში.

აქვე არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ერთ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტზეც – მონაწილეობდა თუ არა ამ ომში ასპინძის მოსახლეობა? ცალსახა პასუხია: დიახ, ამ ომში განსაკუთრებული როლი ადგილობრივმა მოსახლეობამ ითამაშა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ერეკლე მეფის მეგზურის, ჯავახელი ნიკო ბერიძის გმირობის ამბავი, რომელმაც ელიზის სამოკლეო გზით, სიცოცხლის ფასად, გადმოიყვანა ქართველთა ჯარი და მტერს მოუსპო გადაჯგუფების საშუალება, რამაც ქართველთა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. დაბეჯითებით ვიტყვი: ნიკო ბერიძემ ისეთივე გმირობის მაგალითი აჩვენა, როგორიც მღვდელმა თევდორემ და ისიც მის მსგავსად მოწამეობრივად აღესრულა. სამწუხაროდ, ქართული ისტორიოგრაფია ამის თაობაზე დუმს, თუ არ ჩავთვლით, რომ ამ ფაქტს დიდი ყურადღება მიაქცია ასპინძის ომის ცნობილმა მესხმა მკვლევარმა სერგო ხოსიტაშვილმა და იგივე ფაქტი დაადასტურა ცნობილმა კომპოზიტორმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა მერი დავითაშვილა, რომლის წინაპარიც ახალციხეშია დაკრძალული და მნიშვნელოვან კვლევას აწარმოებდა ამ მიმართებით. ასევე, ნიშანდობლივია ასპინძის ხიდის აყრისა და გადახერხვის ფაქტიც, სადაც ერთ-ერთი მთავარი როლი ადგილობრივმა – ხიზაბავრის, საროს, დადეშისა და ზველის მოსახლეობამ ითამაშა. და, ბოლოს: ასპინძის ომში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის უტყუარი ფაქტია ისიც, რომ სწორედ ამ ომის შემდეგ დაიწყო ახალციხის ფაშის ბრძანებით ცნობილი კომერსანტების – ზუბალაშვილების (რომლებიც განსაკუთრებულ დახმარებას უწევდნენ ერეკლე მეფეს ფინანსურად) დევნა გათათრების ან გასახლების მუქარით და მავანთა და მავანთა დასმენით აიძულეს მიეტოვებინათ ასპინძა და გადასახლებულიყვნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში და თავიანთი კომერსანტული ნიჭი ისე განუვითარებიათ, რომ რუსეთის საიმპერატორო კართანაც დიდი გავლენა მოუპოვებიათ (ცნობისთვის: ადგილზე დარჩა მხოლოდ ერთი ძმათაგანი, რომელმაც ბეგობის სანაცვლოდ მიიღო ისლამი და ახალშენის მამულები). დასამალი არც ისაა, რომ ასპინძის ომის შემდეგ დაიწყო მესხთა მასიური გათათრება, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ასპინძის ომში ერეკლე მეორეს. ამ პროცესმა თითქმის ათი წელი გასტანა, რომლის თაობაზეც საინტერესო მასალას გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძე.

ცხადია, ასპინძის ომი გახდა ქართველთათვის სახელის მომტანი, რამეთუ რიცხობრივად ორ-სამჯერ მეტ მტერთან შერკინების დროს მცირე დანაკარგით მიღწეული იქნა ბრწყინვალე გამარჯვება.

ასპინძის ომის სიდიადე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც გამოიხატა, რომელთა ნაწილი შესულია ქართული ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა გამოცემაში, ხოლო მთლიანობაში – „მესხური ფოლკლორის“ I-II ტომებსა და ასპინძის ომის 250 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში – „სიკვდილის ლხინი ასპინძაში“.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ხალხური ზეპირსიტყვიერების მრავალთაგან ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში:

„ცა და ქვეყანა დაღრუბლა,
სულ დედამიწა ღვარაო,
ერეკლე აწყვერს მოსულა,
შვიდი დღე-ღამე მდგარაო.
ერეკლე აწყვერს ვერ დადგა,
ჯავახეთს გაეჩქარაო,
ასპინძის ბოლოს ავიდა,
დელიბაშს დაეხალაო.
იქაც გამართეს დოგუში,
დელიბაშს უყო ძალაო.
რუსმა აართვა ღალატი,
ქურდულებ გაეპარაო.
ერეკლემ გადმოიხედა,
ცრემლები გადმოყარაო.
მაცადე, ჩემო ლალაო,
მრავალ დოგუშს გაგიმართავ,
თუ ღმერთმა დამაცალაო.
ასურმიანი ლეკები
უკულმა წყალმა ყარაო,
იმათი თოფ-იარაღი
ქალაქში გადიტანაო,
ეს ლექსი შიომ მასწავლა,
კიდეც ითხოვა ფარაო“.

უკვდავია სამშობლოსათვის შეწირული გმირების სახელები. რამდენი წელი, საუკუნეც არ უნდა გავიდეს, მადლიერი შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს მათ სახელებს.

ავთანდილ ბერიძე

# საბიბლიოთეკო გაკვეთილი

*„ბიბლიოთეკა, სიმშვიდის კერა,*
*მსგავსი თუ გინდა მშობლიურ კერის...“*

საბიბლიოთეკო ღონისძიებებს შორის საბიბლიოთეკო გაკვეთილებიც არის, რომელიც საბიბლიოთეკო ფონდის, საკატალოგო მეურნეობის მკითხველთა მომსახურების ფორმებსა და ზეპირი აგიტაციის გაცნობის ელემენტებს მოიცავს. მიმდინარე წლის 14 აპრილს ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა ასპინძის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეებს (კლასის ხელმძღვანელი ოლღა სლინკო-ლეკიშვილისა).

ახალგაზრდები მოწიწებით შემოვიდნენ წიგნის საუფლოში. უფროსი ბიბლიოთეკარი ნუნუ ბუჩუკური ჩვეული გულისხმიერებით და სითბოთი სავსე დახვდა მოსწავლეებს. მან დაწვრილებით აუხსნა ბიბლიოთეკის როლისა და დანიშნულების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული შესაძლებლობები უკიდეგანოა და მის გარეშე წარმოუდგენელია გონებრივი ჰორიზონტის მაღალ კონდიციამდე აყვანა, იგი ჩვენი კარიერული წინსვლისთვის სასიცოცხლოდ საჭიროა. წიგნი კი ყოველთვის იყო, არის და იქნება თვალის ჩინი და სიბნელეში ანთებული ლამპარი. დღესაც მოწოდებასავით ჟღერს იოსებ გრიშაშვილის განუმეორებელი სიტყვები:

*„მიყვარდა კითხვა,*
*წიგნს ვსახავდი მე თვალის ჩინად,*
*მიყვარდა კითხვა*
*და ამ კითხვამ გადამარჩინა“.*

გიყვარდეთ და იკითხეთ წიგნები! მის გარეშე კაცობრიობას მომავალი არ აქვს! ყველა სახელმწიფოს უპირველესი ვალია საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მისი ხელშეწყობა, რათა მომავალი თაობების აღზრდა, უპირველესად, მათ წიგნიერებაშია.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მოკლებულია საბიბლიოთეკო მომსახურებას, ჩვენი ბიბლიოთეკის საცავი ყოველწლიურად მაქსიმალურად მაინც იზრდება და შესაბამის მომსახურებას უწევს წიგნით დაინტერესებულ ადამიანებს. ამჟამად მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 30 ათასამდე ეკზემპლარს (საბავშვო ბიბლიოთეკის ფონდთან ერთად). მომსახურების კულტურის გაუმჯობესების მიზნით ვაწარმოებთ ანბანურ და სისტემურ კატალოგს. ყველა საინტერესო თემატიკაზე შექმნილი გვაქვს შესაბამისი კარტოთეკები. ასევე დარგობრივი სპეციალური კარტოთეკებია შექმნილი ეკონომისტების, პედაგოგების, მედიცინის მუშაკებისათვის. ფონდი გაწყობილია ასევე ანბანურად თითოეული ქვეყნის ინდექსაციით. საბიბლიოთეკო გაკვეთილების ფარგლებში მოსწავლეებს იგი ძირეულად გააცნო ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ნორა ნებაძემ. მისი დახმარებით მოსწავლეებმა თავისივე ხელით შეავსეს მკითხველის ფორმულიარები ყველა მოთხოვნის შესაბამისად.





მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს სამკითხველო დარბაზი, სადაც თვალსაჩინო მასალების სტენდებია გაწყობილი. აუხსნეს გამოფენის სახეობები, კერძოდ, მუდმივი და დროებითი გამოფენები. ასევე გააცნეს ენციკლოპედიური და საცნობარო ლიტერატურა.

იმის გამო, რომ გასვლითი გაკვეთილი „დედაენის“ დღეს დაემთხვა, ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მიულოცეს ეს დღე ბიბლიოთეკის საპატიო სტუმრებს. წაიკითხეს ამონარიდები სხვადასხვა წიგნებიდან ბიბლიოთეკის, ქართული ენისა და, ზოგადად, განათლების შესახებ. მათვე თანადგომა და სოლიდარობა გამოუცხადეს უკრაინელ ხალხს, დაგმეს რუსეთის ანექსია მეზობელი ხალხის მიმართ. ექსპრომტად შეასრულეს სიმღერები სამშობლოს და, განსაკუთრებით, დედასამშობლოს დროებით მოწყვეტილი მხარეზე – აფხაზეთზე. წაიკითხეს გამოჩენილი პოეტის ფარნა რაინას კატრინები და მურმან ლებანიძის ლექსები.

ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლეთა გასვლითი გაკვეთილით მოსწავლეები კმაყოფილები დარჩნენ და გამოთქვეს სურვილი, რომ მსგავს ღონისძიებებს სისტემატური ხასიათი მიეცეს.

ნინო ბერიძე,
***ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი***

## ფოლკლორი

***

ერეკლე რომ შეიკაზმა, ტანთ ჩაიცვა საომარი,
შვიდი შვილი ვაჟი ჰყავდა, შვიდთავ შემოარტყა ხმალი,
– დამიძახეთ ლევან ბატონს, სახელმწიფო მისი არი,
ზედა გმირი ხიდი გადო, განი ჰქონდა შვიდი მხარი,
ხეობა შემოიარა, არსად არ შეაფრთხო ცხვარი.
გუმიშხანას ჯავრი ჩამყვა, ოქრო და ვერცხლი იქ არი,
გუმიშხანას რომ მიუხდა, შიგან მეთოფე მზად არი,
სამი დღე კი გაუმაგრდა, მეოთხე დღეს იყო მალი,
ციხე ხელ-ქვითაც აავსო, არ იხმარა ზარბაზანი,
ოქრო კოდივებით (სარწყავია) გაჰყვეს, კამეჩებს აჰკიდეს ფართალი.
ასე დაჰფანტა ულუსი (რაღაც მტერი), როგორც მშიერ მგელმა ცხვარი,
მარტო ისიც ვერ იქმოდა, შიგნი ჯამის სულიც (საქმე) არი.

***ხალხური***

***

ლეკის ბელადმა, რომელიც ცალკე ნაწილს შეადგენდა, შეუთვალა – ასპინძაში ჯარი რაზედ დავხოცოთ, თვითონ გავიდეთ ერთმანეთზედო. – კარგიო, შე წუწკო, შენ მოითხოეო?! – უთხრა ერეკლემ, შეჯდა თავის გორდაზედ (ცხენს ეძახდა თავისს ყოჩაღს, თითქმის ფრინავდა). თითონ კი პატარა კაცი იყო, მამიჩემისგან გამიგონია, მაგ ასპინძის ომში იყო. – გამექეციო, – უთხრა ბელადმა. გაიქცა და გამოუდგა, რომ დაუქნია ხმალი, თურმე ცხენმა წინ გაიტაცა და ვერ მოასწრო მიეხვედრებინაო. როგორც გაბრუნდა, ჰკრა და მარჯვენა ხელი მოაგდებინა ერეკლემ, მერე დაერივნენ და სულ გაჟლიტეს.

***ხალხური***
***ჩაიწერა გრიგოლ ბერიძემ***

## მატიანე



1 სექტემბერი. 1985 წელი. ახალი სასწავლო წლის დაწყება ასპინძის საშუალო სკოლაში. სურათი მოგვაწოდა თამაზ ზედგინიძემ

# „მოჯადოვებული სალამური“

## (მოგონება ჯავახეთის ცხოვრებიდან)

ეს იყო შარშან, სწორედ ერთი წლის წინეთა, ჩვენი ქვეყანა ომის ცეცხლში იყო გახვეული. ბათუმის სევდა, როგორც გლოვის თალხები გვეხვია გარს და მწუხარების ცრემლი გვდიოდა. მაგრამ არსად, არც ერთ კუთხეში ისე მომშხამველი, ისე დამაღონებელი არ იყო ეს სევდა და მწუხარება, როგორც ჯავახეთში. შავი ზღვის პირიდან მოწოლილი ღრუბლები ჩვენ გვაგრძნობინებდა იმ მწარე დღეებს, რომელიც განგებას განუმზადებია ჯავახეთისათვის.

მთები, ჯავახეთის მშვენიერი მთები, ახლად წამოქოჩრილი ყანები თვალუწვდენელ მინდვრებზე, ციხეების ნანგრევები და ამ ნანგრევთა შორის კი მიწური ქოხები ჯავახეთის გლეხკაცობისა, ყველა ეს ისეთი შეთანხმებული, ერთმანეთთან მშობლიურ ძაფებით იყო გადაბმული, რომ თითქო უკანასკნელათ ამშვენებდნენ ერთმანეთს და მოელოდნენ რაღაც საშინელ განცდას.

ჯავახეთი თავდაცვისთვის ემზადებოდა. ხალხის გონებაში აღზდგა ისტორია იმ წამებული კუთხისა, დაღუპული სოფელთა ნანგრევები ალაპარაკდნენ და მოუთხრობენ ჯავახეთს წინაპართა წამება და აწიოკებას, ხოლო იმ სურათებს თავის მუნჯ, უსიტყვო დასტურით კიდევ უფრო აღრმავებდა და საშიშს ხდიდა თმოგვის ციხის ობოლი კედლები, ხერთვისის ამაყი, მარა დროთა ჟამისაგან შემოცრეცილი კოშკები და საუკუნეთა ტანჯვის მოწამე ტაძარი და სასახლე თამარისა ვარძია.

ჯავახეთის მოხალისეთა ლაშქარი სოფ. საროს მიდამოებში იყო დაბანაკებული. ხერთვისის მაღლობები და საროს პიტალო კლდის კედლები, როგორც მიუვალი ციხე სდარაჯობდა მტკვრის ხეობიდან არტაანით შემოსასვლელ გზებს ჯავახეთში. ეს ხიდია ძველი კლარჯეთიდან ჯავახეთზე და აქედან კი ბორჩალო თფილისზე. როდესაც მტერი მოინდომებდა საქართველოს წელში გატეხვას, ისტორიულად ის მუდამ ამ გზას მოყვებოდა და თუ დაეცემოდა თმოგვის ციხე, თუ ვერ გაუმკლავდებოდა ხერთვისი, მაშინ ჯავახეთის ბედი გადაწყვეტილი იყო, ხოლო ქართლის უკანასკნელ დარაჯს – აწყურს არა ერთგზით უხდებოდა ამ ხეობაში შემოჭრილ უამრავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა.

და აი, ჩვენ თვალწინ მეორდებოდა წარსული. ჩვენის თვალით ვხედავდით მესხეთ-ჯავახეთის აოხრების პირველ სურათებს, ვინაიდან თქმულებანი აღზდგნენ სინამდვილეთ, მივიწყებული ციხეები აივსენ ჯარის კაცებით, მოგონებანი ცოცხალ სურათებათ დაგვეხატენ და ერთხელ კიდევ, 90 წლის სიმშვიდის შემდეგ, სისხლით შეიღება არა ერთხელ ძვლებით მოკირწყლული ჯავახეთის მიწა.

აღდგომა ღამე იყო. წერაკუნტის მთები, რომელნიც დასცქერიან ხერთვისს და მას კი, ვით ცისფერი აბრეშუმის სარტყელი ტურფა ასულს, გარს არტყია მოდუდუნე მტკვარი. აი იმ მთის ფერდობები იყო ჩვენი სანგრების უმთავრესი ხაზი და როგორც აღმოსავლეთით, ისე არტაანის მხრით მოდარაჯე თვალით უცდიდით მტერს ჯავახეთის ბჭესთან, უცდიდით, ვინაიდან ის მხოლოდ ამ გზით მოვიდოდა, ის მხოლოდ ჯავახელთა ძვლებზე გადასვლით თუ შესძლებდა მათი კარმიდამოს, მამულ-დედულის დაპატრონებას.

ჩვენ სანგრებში არაჩვეულებრივი გამოცოცხლება ეტყობოდა. ყოველი ჯავახელი თავის ადგილს იყო, დღეს მოხუცებიც კი მოვიდნენ თოფებით და სანგრებში ჩაჯდნენ, ამ ღამით მოელიან რაღაც თავდასხმას, ლაპარაკობენ მტრის ძალების მოახლოებაზე, ერთმანეთს მოუთხრობენ ამბავს, რომელიც მოხუც თომას მიუღია სოფ. საროში.

– დედაც შეერთოს მას ცოლათ, ვინც დღეს ლხინზე იფიქროს და მტერს ზურგი უჩვენოს – ამბობს ცალთვალა მეცხვარე ვანო, რომელსაც ჩვეულებრივათ მხარზე ჯავახური გრძელი სალამური კიდია და მას არსად არ იშორებს. აი ეხლაც, ამ შებინდებისას ვანო მართალია მოვიდა თოფით ხელში, მარა სალამური მაინც მოიტანა. ის შეყვარებულია თავის სალამურზე.

– სადმე უკან დააგდეთ მაგ ბრუციანი, თორემ გაიჭრება წინ, მტერს ვერ შეამჩნევს და საქმეს დაღუპავს – წამოიძახა სანგრების მეორე ხაზიდან ერთმა ჯავახელმა, ხოლო სხვებმა ზოგმა სიცილით, ზოგმაც ოხუნჯობით ვანოს წაავლეს ხელი ჩოხაზე და სანგრების მესამე ხაზში ჩასვეს.

– აბა გვითხარი ვანო, რა ამბავი მოსვლია თომას? – შეეკითხა მას მის გვერდით სანგარში ჩამჯდარი ჯავახელი ჯარისკაცი.

– ამ ღამით თათრებს მაგრათ უნდა დავხვდეთ, იციანო, რომ ჩვენ აღდგომა გვაქვს და უნდათ ისარგებლონ. თომამ ბარათი მიილო, ხერთვისის დაბლა ცხენოსანი ჯარი შექუჩებულა, ძალიან ფხიზლათ უნდა ვიყვნეთო – ფრთხილი და მორიდებული ხმით გადასძახა ვანომ სანგრების ამხანაგებს და თოფი მოიმარჯვა.

– ჰაი, ჰაი, რომ მარჯვეთ უნდა ვიყოთ – თითქო ერთხმათ გაიმეორენ სანგრებმა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ბუმბერაზი მთები რაღაცა საიდუმლო ფიქრს მისცემოდნენ, ხოლო მტკვარი კი სთვლემდა, დუდუნით, ვით ნანა დედის ძილის პირისთვის ამზადებდა სოფლებს, სადაც აქა იქ თუ ბჟუტავდა სააღდგომო კელაპტარი. საროს ტაძარი, მეცხრე საუკუნის კერპი, ალბათ იგონებდა თავის ათასი წლის არსებობიდან ასეთ სურათს, მისი კედლები ხომ უსიტყვო მოწამეა წარსულ ომებისა, აოხრებისა და დარბევისა.

და როგორც თვით ეს წამები, როგორც თვით მიდამოები და მდგომარეობა, დამაფიქრებელი და სავსე მგრძნობიარე სურათებით, აი სწორეთ ასეთი, ამ განცდის გამომხატველი ხმა, ტკბილი ხმა დაიპნა სანგრების თავზე და სმენათ გადაქცეული ჩაკვდა სუნთქვა იმ ადამიანებისა, რომელნიც ერთი საათის წინეთ ასე გაშმაგებით და მთელის გულით ქშინავდნენ და ღელავდნენ, თვალებიდან ცეცხლს ანთებდნენ, რომ მტერს გულმკერდით შეხვედროდნენ, ძვლებათ დაყრილიყვნენ, ხოლო ცოცხალი კი არც ერთი მათ ხელში არ მოხვედრილიყო.

– ჰეი, ვანო, რა დროს მაგაა, არა იცი, რომ ჩვენ ეს დაგვხოცავს?! – წარმოსთქვა რაღაც ტანჯვით და მწუხარებით მოხუცმა ჯავახელმა. როცა ვანომ სალამური მხარზე გადაიკიდა და შორს მთებში და მტკვრის ტალღათა გასწყვრივ კი ამ დროს კვდებოდა უკანასკნელი აკორდი სალამურისა, ეკვრებოდა იმ მიდამოებს ვითა ფსალმუნი, რომელთაც ცალთვალა მეცხვარემ ასეთი მხურვალე ამბორათ გაუგზავნა მისი ხმა.

– ეგ მოგვაჯადოვებს, ამ ღამით რაღაც ხიფათს შეგვამთხვევს – ჩაილაპარაკა ჩემს გვერდით მჯდარმა ჯავახელმა, რომლის სახეზე ისეთი ღრმა ფიქრი, ისეთი მწუხარების ბეჭედი იყო დასმული, რომ მე წარმომიდგა თვალწინ ამ სალამურის გავლენა, მისი ხმათა მთელი წყება, ხან ანჩხლი და მოუბარი რაღაც განცდისა.

დავინტერესდი. ვანოსთან მივედი და თვალებში ჩავხედე.

შავგვრემანი ჯავახელი, რომელიც სიცილის დროს იცინის უზადო სიცილით, ხარხარებს, როგორც ქუხილის დროს ჯავახეთის მთები და ცრემლების დროს კი სტირის წმინდა, ანკარა ცრემლებით, ვით ჯავახეთის ვერცხლის ჩანჩქერები მთებიდან მოჩუხჩუხე, აი ეს ჯავახელი პირველათ ვნახე მწარეთ ჩაფიქრებული, უცრემლო გამზრალი თვალებით, გაფითრებული სახით.

– მითხარი, რათ ატირეთ ეს ხალხი, რა უთხარით ისეთი სალამურით, რომ მოაგონეთ მწარე ფიქრები – შვეკითხე ვანოს, როცა მან შემომხედა და მწარეთ ამოიოხრა.

– არავინ არ ტირის, ბატონო, იტირა მხოლოდ სალამურმა, ის მთელი ჯავახეთის მოტირალია, ამ ხალხის ჭირისუფალია და ესენი კი მხოლოდ დაღონდნენ, დაფიქრდნენ… – მიპასუხა ვანომ და ისევ თოფს მოჰკიდა ხელი.

მე ვიგრძენი, რომ მეტად მწარე იყო სალამური ჯავახელთათვის. მაშინ როცა მესმოდა მისი ტკბილი ხმა, როცა მესმოდა მოთხრობა წარსულისა ამ ხმებში, ვითა ნისლი მეხვეოდა გარს ამბები ამ აოხრებული კუთხისა; მხოლოდ ვერ ვხედავდი აჩრდილებს, ვერ ვარკვევდი გლოვის და სიხარულის ბუნდოვან სურათებს.

– მოუყე ვანო, მოუყე ჯადო სალამურის ამბავი, ხვალ კი ისევ დაუკარ და ალხინე ბატონი – გადმოსძახეს სანგრებიდან ვანოს ამხანაგებმა და თვით ვანომაც მოამზადა რაღაც დიდი, მარა მგრძნობიარე და მისთვის დაუფასებელ ამბისათვის.

– ყური დამიგდეთ – დაიწყო მან – ეს იყო ჩვენი წარსულის ზღაპარი, ჯავახეთის ტანჯვა და სიხარული. ჯავახელმა სიმღერა არ იცის, თქვენ მას აქ ვერ გაიგონებთ. მეტათ ცრემლიანი იყო ჩვენი ცხოვრება და ერთხელაც არ იყო დრო, არ გვქონდა გაზაფხული ცხოვრებისა, რომ ლხინში სიტყვით სიხარული გამოგვეთქვა და ის მომავლისთვის ანდერძათ დაგვეტოვებია. მხოლოდ აი ეს სალამური არის საჭურჭლე ჩვენი ტანჯვისა და სიხარულისა, მხოლოდ ის იკრავს გულში ჯავახეთის განცდას და ჩვენ შვილებს მოუთხრობს, როგორც აი დღეს მოგვითხრო ჩვენი წინაპართა გასაჭირი.

აი რა მოვაგონე დღეს ჩვენ მეომრებს: ძველათ მეჩვიდმეტე საუკუნის ერთ გაზაფხულზე, საქართველო საშინელ დღეში ჩავარდა. მტერი შემოესია მის საზღვრებს და ცეცხლსა და მახვილს მისცა მიდამოები. ოსმალეთმა წაიყვანა ქართველი ქალები, ხოლო ბავშვები ცხენის ჩლიქებით ქუმურდოს გულზე დასრისა. ცრემლის ტბები დადგა ყველგან. დედას მოსწყვიტეს შობილი და შვილმა არ იცოდა სად ენახა დედა; პირმშო დაეძებდა აღმზრდელ ძუძუს, ხოლო ის მახვილისგან დაჭრილი, სასიკვდილო ლახვარ ჩაცმული მოუხმობდა მაშველს, რომლის ხელი არსაით არ ჩანდა.

თმოგვის ციხე აიღო მტერმა, ხოლო ვარძია ააოხრა ველურთა ბრბომ და შებილწა წმიდათა წმიდა ჩვენი ხალხისა. ჯავახეთს ცეცხლითა და მახვილით მოადგა ლაშქარი, რომელიც თავის ქუსლებით სთელავდა ყოველივეს და შხამს ასმევდა იმ ქვეყანას, რომელიც უმალ სიხარულით სცხოვრობდა.

აი ამ დროს ამ ნანგრევ კოშკებში, სადაც ეხლა ჩვენი ჯარია ჩასაფრებული, სცხოვრობდა თურმე ვინმე ერისთავი თეიმურაზი.

მისი სახელი განთქმული იყო მთელს ქვეყანაზე. არაბეთიდან დაწყებული, ვიდრე ლეკთა ქვეყნამდე იცნობდნენ თეიმურაზს და მოყვრობდნენ მეფენი ძლიერნი. საროს კოშკი იყო მისი სადგომი, ხოლო არტაანის ველები მოფენილი იყო მისი ცხვარით, რომლის რიცხვი უთვალავი იყო. სცხოვრობდა თეიმურაზი ლაღად და ბედნიერათ, ჯავახეთი ეპყრა მას და ხალხიც მასთან ერთად ატარებდა მშვიდ ცხოვრებას, სავსე იყო სიმდიდრით ქვეყანა. ხოლო ღმერთმა არ მისცა მას ვაჟი, თვით მეომარი ვაჟკაცი. უვაჟკაცოდ კვდებოდა და მისი სასახლე კი რჩებოდა აუწერელ სილამაზის პატრონს, მის ქალს ფიქრიას, რომელიც 17 წლამდე საროს კოშკიდან არსად გასულა და ასათუთებდა თეიმურაზი მას, ვითარ ანგელოზს ციურს, რომელიც მხოლოდ მაშინ დაფრინავს ქვეყნათ, როცა ადამიანები არ სჩანან და მიიძინებენ.

მთელი ჯავახეთი უმღეროდა ფიქრიას სილამაზეს: ჩონგურზე მოხუცნი, სალამურზე ახალგაზრდანი, ქარგავდნენ მის მშვენებას და უძგერებდნენ გულს ვაჟკაცებს. მრავალი ჯიბრი, ვაჟკაცობაში შემკლავება მომხდარა ამ ქალის გულის მოსაგებად, მარა არც ერთი მათგანი ფიქრიას არ იტაცებდა და ერთხელაც ერთი შეხედვითაც არ შეუწყალებია ის ჭაბუკები, ვინც მისთვის ჯირითში პირველობას იჩენდნენ, ბურთში ფეხის სიმარჯვეს, ხოლო ომში მკლავის სიძლიერეს. ვინ იცის რამდენ ვაჟკაცს დაუღვრია მისთვის ცრემლები აი მტკვრის იმ ნაპირას, სადაც ჩამოდიოდა კოშკიდან ვიწრო ბილიკი და ფიქრია კი ამ ბილიკით, როგორც საიდუმლო ცის ფრინველი ოდეს ჩამოფრინდებოდა და მტკვრის მოდუდუნე ტალღებში გასცურავდა, რომ შემდეგ მთებში გაჭრილიყო და ეძებნა, ეძებნა ის ვაჟი, რომელიც სალამურით ხელში მიმოყვებოდა ლეპისის მთებს და ფიქრიაზე მოსთქვამდა. მხოლოდ სალამურს, მის გულის მესაიდუმლეს ანდობდა ფიქრს, მწარე ფიქრს, რომელიც სწვავდა და აჭკნობდა.

მარა არასოდეს არც ღამით და დღით, არც ნისლიან და კაშკაშა ღამეში ფიქრიას არ შეხვედრია სულიერი ვინმე; ის მომჯადოებელ სალამურის ხმას დაეძებდა მთების კალთებში და როს ვინმეს ხელი გაიწევდა მისკენ, ის გაქრებოდა გაუვალ ტყეში, მიიმალებოდა მის შავ ტალღებში, ხოლო ყოველ გარიჟრაჟისას კოშკში დაღონებული ავიდოდა და ვიწრო სარკმლიდან, ციხის სათოფე ჭუჭრუტანიდან გასცქეროდა მისთვის ძვირფას და სანეტარო ტყე-ველებს, სადაც დადიოდა მწყემსი მესალამურე.

ფიქრიას არასოდეს არ უნახავს ეს მწყემსი, ხელით არასოდეს არ შეხებია ამ არსებას, მას მხოლოდ ესმოდა სალამურის ხმა, რომელიც უყვარდა, განუსაზღვრელათ უყვარდა და ეს სიყვარული გადავიდა იმ მწყემსზე, რომელიც განუყრელი შეიქმნა სალამურთან, რომელსაც დაეძებდა მუდამ, მარა ის უხილავი იყო, ვით თვით ამ მუსიკის სიტკბოება, მისი ნაზი ხმები.

შავთელი,

*განახლებული მესხეთი, N2,3 1919 წელი*

# ნორჩი მსახიობების წარმატება

მონატრებული მაყურებელი დიდი ოვაციებითა და სიხარულით შეხვდა ასპინძის კულტურის სახლში ახლახან გამართულ წარმოდგენას „მგელი და ციკნები“.

გასულ წელს „კორონა-ვირუსის“ პანდემიის გამო, სამწუხაროდ, მომზადებული სპექტაკლი-ზღაპარი, ვერ უჩვენეს მაყურებელს. ამიტომ პატარა მსახიობებს ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული, როდის წარსდგებოდნენ ისინი მაყურებლის წინაშე და თავი მოეწონებინათ თანატოლებისა თუ უფროსი ასაკის მაყურებლებისათვის. საბედნიეროდ, გამოცდამ შესანიშნავად ჩაიარა და თავი კარგად გაართვეს სასცენო საქმეს, რითაც მაყურებლის დიდი მოწონება ხვდათ წილად.

სცენის ნორჩმა მოყვარულებმა არამარტო ასპინძელებს მოაწონეს თავი, არამედ ახალციხის სახელმწიფო თეატრის დიდ სცენაზეც შესანიშნავად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას.

ეს ხომ მათი დაუღალავი შრომის შედეგი იყო. რაც, პირველ რიგში, მიღწეული იქნა იმით, რომ მათ



მომზადებასა და თეატრალური მანერების დახვეწა-დაოსტატებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა სცენის ოსტატმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა, რეჟისორმა ლია სულუაშვილმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის მერია და, განსაკუთრებით მერი – როსტომ მაგრაქველიძე დიდ ყურადღებას აქცევს და ზრუნავს მუნიციპალიტეტში ნორჩ მსახიობთა ხელშეწყობაზე და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ნიჭიერი ბავშვები აქტიურად იქნენ ჩაბმული თეატრალურ ცხოვრებაში.

ასევე უნდა აღინიშნოს კულტურის ცენტრის დირექტორის ჯაბა ასპანიძის გულისმიერი თანადგომა ნორჩი მსახიობების მიმართ.

მარეხ დათაშვილი

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია